ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2282139

ნომერი: AR1354134

თარიღი : 03.11.2015

გაცემის თარიღი : 25.11.2015

გაცნობის თარიღი : 25.11.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 43 , (ნაკვ 10/060) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- უტა მაზიაშვილი პ/ნ 01026001199
- თბილისი ი.მოსაშვილის ქ. N 18

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საოფისე (ძეგლის რეკონსტრუქცია–ადაპტაცია)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გოჩა ბზეკალავა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "სანი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406033983
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: უტა მაზიაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01026001199

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : №427354, გაგრძელება (4/200 08.12.2014)
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 14.11.2012

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 14 ნოემბრის №427354 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ.

– ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 14 ნოემბრის №427354 ბრძანებით მოწონებულ იქნა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი – მთაწმინდა), მ. კოსტავას ქ. N43–ში (ძეგლი) შ.პ.ს. "სანი"–ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის რეკონსტრუქცია–ადაპტაციის არქიტექტურული პროექტი. გაიცა უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა და სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2012 წლის 30 ნოემბრიდან 2014 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.
– საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 08 დეკემბრის N6/09/12/381–1 ბრძანებით უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა გაგრძელდა 2015 წლის 1 დეკემბრამდე;
–2015 წლის 03 ნოემბრის AR1354134 განცხადებით მოგვმართა მოქ. უტა მაზიაშვილმა რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის, დამატებით 1 წლით გაგრძელების მიზნით 2012 წლის 14 ნოემბრის №427354 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.

სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 14 ნოემბრის №427354 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2014 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით" შეიცვალოს "ნებართვა ძალაშია 2016 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით";
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 14 ნოემბრის №427354 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად.

;

- სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

- თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ ღონისძიებას.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.